41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო სენაკელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი სენაკის მერობის კანდიდატისა და სენაკის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს სენაკის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს სენაკი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 11,9 მლნ იყო, 2020 წლის გეგმის მიხედვით 19,7 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 990 ათასი ლარი მიიღო, 2020 წლის მონაცემებით საკუთარმა შემოსავლებმა 9,7 მლნ ლარი შეადგინა, იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 6,1 მლნ ლარს შეადგენდა, 2020 წლის საბიუჯეტო ხარჯების მაჩვენებელი 9,4 მლნ ლარამდე გაიზარდა.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

სენაკის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 1 პროექტი (147 902 ლარი, თანამონაწილეობა 59 161 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 364 ჰექტარზე განხორციელდა 63 პროექტი (ჯამურად 5 002 338 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 244 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 587 962 ლარი), რითაც 299-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 2 108 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 15 კოოპერატივი (158 მეპაიე, კაპიტალი 318 890 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** 2016-2021 წლებში, რეაბილიტირებულია 93 ჰექტარი (ჯამურად 336 168 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 27 208 800 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 4 757 612 ლარი), რითაც 203-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 9 პროექტი ჯამურად 928 202 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 369 645 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს 2 ახალი პროგრამა: **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** დღემდე 3 პროექტი განხორციელდა (ჯამურად 125 185 ლარი, თანადაფინანსება 62 593 ლარი), ხოლო **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 5 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 368 840 ლარი, თანადაფინანსება 268 750 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 854 917 ლარი დაიხარჯა, შედეგად დაშრობილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 691 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, **სენაკის მუნიციპალიტეტში,** ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 12 558 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 15 690 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, მოგვიანებით, საექსპორტო ხელისაყრელების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** სენაკში დაფინანსდა 2 საწარმო (ჯამურად 4 816 800 ლარი, დასაქმებულია 64 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 721 253 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 961 903 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 77 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 57, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 20 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში,** აშენდა 9 ჰიდროელექტროსადგური (მაქსანია ჰესი, მესტიაჭალა 1 ჰესი, მესტიაჭალა 2 ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი, ლახამი 1 ჰესი, ლახამი 2 ჰესი, კასლეთი ჰესი 2, ხელრა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 72 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 296 მილიონი კვტ/ სთ.

მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰიდროელექტროსადგური:

- ხობი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 46,70 მგვტ, 63 მლნ აშშ დოლარი;
- ნაკრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 7,50 მგვტ, 9 მლნ აშშ დოლარი;
- ნენსკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 280 მგვტ, 1 მლრდ აშშ დოლარი;
- ჯაღონ-ნამუში ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- ნაცეშარი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,93 მგვტ, 2,6 მლნ აშშ დოლარი;
- დარჩი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16,9 მგვტ, 19,8 მლნ აშშ დოლარი;

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- ვედი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 24 მგვტ, 19,1 მლნ აშშ დოლარი;
- წირმინდი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 15,6 მგვტ, 13,4 მლნ აშშ დოლარი;
- ლაპლაჭალა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, ინვესტიცია 11,9 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,5 მგვტ, 14 790 000 აშშ დოლარი;
- ხუბერი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,24 მლნ აშშ დოლარი;
- ჭანი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 0,696 მლნ აშშ დოლარი;
- დიზი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 210 მგვტ, 388 მლნ აშშ დოლარი;
- ხუდონი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 702 მგვტ, 776 მლნ აშშ დოლარი;

სენაკის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 5 159 აბონენტი. ხელისუფლება, 2022-2023 წლებში, 27 სოფლის (საჩიქობავო, მუხური-ხორგიში, გოლასკური, რეკა, ეკი, შრომისკარი, საადამიო, საგუნიო, საცხვიტიო, ფოცხო, ლეგოგიე-

ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ,

ᲛᲔᲜᲯᲘ-ᲡᲐᲮᲐᲠᲑᲔᲓᲘᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ





ნასაჯუ, მოხაში, მეორე მოხაში, პატარა ზანა, დიდი ხორში, საგუგუნაო, შუა ხორში, ციზეთი, სადადიანო, ზანა, ეწერი, სატყებუჩაო, საესებუო, საშურღაიო, უშაფათი, ლეგოგინე, ლეკოკაიე) გაზიფიცირებას გეგმავს (დამატებით 2629 აბონენტი). 2013-2017 წლებში, 1084 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის **ელექტროენერგიით** უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს, სენაკში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, 2016 წლიდან მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევა-დაგეგმვა. ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად, უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ პირთათვის კონსულტაციების გაწევა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსების მოსაზიდად. 2016 წელს დაიწყო და 2021 წელს დასრულდა ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაცია, რაზეც 14 მლნ ლარი დაიხარჯა.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლისა და ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, სენაკში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 28 მლნ ლარამდე დაიხარჯა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 6,6 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში სენაკის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 20 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 512 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, სენაკის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარება, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 9 მილიონ ლარზე მეტით დააფინანსა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 3,5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. **სენაკში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:** სენაკი, სოფ. გოლასკური, ზემო ჭალადიდი, ხორგიში, ქვემო ქვალონი – წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია/პროექტირება-მშენებლობა – 2 418 627.00 ლარი; ქ. სენაკის ქუჩებისა და სოფ. მენჯის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/პროექტირება-მშენებლობა – 1 254 776.00 ლარი.

2021-2022 წლებისთვის სენაკის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქუთაისის ქუჩაზე ც.დადიანის ქუჩიდან თეკლათის დედათა მონასტრის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია და ორმული შეკეთება – 65 545 ლ;
- ნოსირის ადმ. ერთეულში სასირიოს უბანში წყალსადენის სათაო ნაგებობის გასწვრივ ასფალტის საფარის მოწყობა – 84 672 ლ;
- ქუთაისის ქუჩის II შესახვევის რეაბილიტაცია – 27 565 ლ;
- შონიას ქუჩის რეაბილიტაცია – 63 573 ლ;
- სილოვან შამათავას ქ. ჩიხის რეაბილიტაცია – 60 339 ლ;
- სოფ. ძველი სენაკის საარჩაიოს უბნის გზის მოასფალტება – 113 166 ლ;
- ხორშის ცენტრამდე გზის მოასფალტება – 35 476 ლ;
- არსენას ქუჩის ორი ჩიხის რეაბილიტაცია – 16 370 ლ;
- შელეგიას ქუჩის რეაბილიტაცია – 14 712 ლ;
- ნოსირის ადმ. ერთეულის სასირიოს უბანში რკინიგზის გასწვრივ ასფალტის საფარის მოწყობა – 178 975 ლ;
- შხეფის უბნის მოასფალტება – 47 124 ლ;
- ბელიაშვილის ქუჩის I რეაბილიტაცია – 40 335 ლ;
- ნაფეტვარიძის ქუჩის რეაბილიტაცია(დეპოს მიმართულებით) – 55 000 ლ;
- სახოკიას ქუჩიდან შხეფის ციხემდე მისასვლელი გზისა და მოედნის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა – 91 050 ლ;
- კანკიას I შესახვევის რეაბილიტაცია – 60 541 ლ;
- ჭავჭავაძის ქუჩიდან რკინიგზის მაგისტრალამდე სანიაღვრე არხზე რ/ბ ჯებირების მოწყობა (არხის ორივე მხარეს) – 94 728 ლ;
- აღმაშენებლის ქუჩაზე, რკინიგზის ქვეშ გასასვლელზე ხიდის რეკონსტრუქცია – 187 712 ლ;
- ძვ.სენაკის ცენტრის კეთილმოწყობა, ტროტუარის მოწყობა ორივე მხარეს და საბავშვო ბაღამდე გზის მოასფალტება – 217 938 ლ;
- თეკლათის ადმ.ერთეულში რკინიგზის გასწვრივ გზის მოასფალტება – 152 474 ლ;
- ნოქალაქევის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 257 777 ლ;
- ძვ.სენაკის ადმ. ერთეულის ზემო სორტაში ქვედა მხარის გზის რეაბილიტაცია – 200 000 ლ;
- სოფ.მეორე ნოსირის საბარკალაიოს უბნის გზის მოასფალტება – 268 703 ლ;
- თეკლათის ადმინ.ერთეულიდან მენჯის ადმინ. ერთეულის სოფ.ბათარიისკენ მიმავალი გზის მოასფალტება – 356 642 ლ;
- ჭავჭავაძის ქ. სამხატვრო გალერეიდან ხორავას ქუჩამდე და ხორავას ქუჩის რეაბილიტაცია – 446 054 ლ;
- მენჯი-სახარბედიოს გზის რეაბილიტაცია – 433 851 ლ;
- ცერცვაძის ორი ჩიხის რეაბილიტაცია – 171 579 ლ;
- თამარის ქუჩის რეაბილიტაცია – 231 579 ლ;
- ეკის ადმინ.ერთეულში იოანე ნათლისმცემლის ტაძრისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია – 400 716 ლ;
- მენჯი-სახარბედიოს გზის განათების მოწყობა ლედ-ნათურებით – 156 818 ლ;
- ე.წ საკირეს მთაზე არსებულ ჯვართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, პარკინგის და განათების მოწყობა ლედ სანათებით – 254 424 ლ;
- შალვა დადიანის ქუჩის რეაბილიტაცია – 105 815 ლ;
- სანაიას ქუჩაზე, სტადიონის, ქუჩისა და ჩიხის რეაბილიტაცია სანიაღვრე არხებით – 210 717 ლ;
- ჭავჭავაძის №91, №74 და წმინდა ნინოს №1-ში ეზოების კეთილმოწყობა – 79 773 ლ;
- ლეძაძამეს ადმინ.ერთეულში, ლეგოგიეს უბანში, სანიაღვრე არხის მოწყობა – 72 337 ლ;
- რუსთაველის №126 კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია – 145 838 ლ;
- ლეძაძამე-ფოცხოს გზის რეაბილიტაცია და ხორშის ადმინ. ერთეულში პატარა ზანაში, მდ.ზანაზე, ბეწვის ხიდის რეაბილიტაცია – 175 071 ლ;
- რუსთაველის ქ. №220, ჯებირის ამაღლება და აღმაშენებლის ქუჩის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა – 125 091 ლ.

სენაკში თამარის ქუჩის სრული რეაბილიტაცია

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲓᲔᲚᲘᲐ: „ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘ, ᲡᲔᲜᲐᲙᲡ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲛᲝᲕᲣᲢᲐᲜᲝ!“

ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚ-ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ, ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲥᲕᲡ. ᲡᲔᲜᲐᲙᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲣᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲢᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ, ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲘᲗ, ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. 7 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲬᲘᲐ – ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲢᲧᲕᲘᲔᲑᲘᲡ ᲖᲣᲖᲣᲜᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲣᲠᲛᲘᲗ ᲒᲐᲔᲮᲘᲖᲜᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲙᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲣᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲤᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲝᲛᲡ. ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲙᲔᲢᲐᲕᲗ – ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘᲪ, ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ.

ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲘᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲐᲣᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲝᲛ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ ᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲣᲬᲔᲕᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲙᲔᲜ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲠᲝ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲐᲥ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ, ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ „ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ – ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ. ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲓᲔᲚᲘᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲠᲝᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲡ ᲛᲝᲐᲮᲛᲐᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲝᲡ.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲔᲙᲐᲕᲐ. ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲔᲬᲔᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘᲪ ᲘᲧᲝ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲐ ᲣᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲕᲝ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲐ ᲙᲘ – ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲰᲝᲑᲘ ᲪᲣᲠᲕᲐᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲢᲕᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲪᲐᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲗᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲪ. ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ 2 ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ: ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ, ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ, ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲓ ᲛᲝᲘᲪᲚᲘᲡ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ.

ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲓᲔᲚᲘᲐ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲔᲜᲐᲙᲗᲐᲜ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲖᲔᲪ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ:

დაიბადა 1986 წლის 16 ივნისს, სენაკში.

2002-2003 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზებული სასწავლო ცენტრის, სკოლა კოლეჯში „ჰარმონია“; 2003-2007 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სპეციალობით – ფინანსები და საბანკო საქმე; 2017 წელს – საქართველოს უნივერსიტეტში, ფინანსური აღრიცხვისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე.

2007-2008 წლებში იყო სს „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო ოფიცერი; 2009-2013 წლებში – სს „არქეოპოლისის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; 2013-2017 წლებში გახლდათ შპს „მშენებელი 999“-ის დირექტორი; 2017-2020 წლებში – შპს GBG-ს დირექტორი;

2020 წლიდან დღემდე – შპს „ჰიდროქონსტრაქშენჯორჯიას“ პროექტის დირექტორი.

– ქალაქ სენაკში დავიბადე, ინჟინერ თამაზ გადელიასა და ექიმ დაგმარა გადელიას ოჯახში. მამა დამსახურებული მშენებელი იყო და წლების განმავლობაში სამშენებლო კონსტრუქციების ქარხანას, ე.წ. კაესკას ხელმძღვანელობდა. მას ქალაქ სენაკის, სენაკის მუნიციპალიტეტისა და მთელი სამეგრელოს განვითარებაში, გზების გაყვანაში, ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. დედა პედიატრი იყო. რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობდა და ძალიან დიდი სითბოთი იხსენებს სენაკელებთან გატარებულ თითოეულ წუთს. ამჟამად დიასახლისია. შეიძლება ითქვას, დედამ მთელი ცხოვრება ოჯახსა და შვილებს მოგვიძღვნა. ერთი და მყავს, ნათია, რომელიც პროფესიით ეკონომისტია და „საქართველოს ბანკში“ მუშაობს. ჰყავს 8 წლის არაჩვეულებრივი ვაჟკაცი გუგა ლაგვილავა. ჩვენს აღზრდაში ორივე მშობელი თანაბრად მონაწილეობდა. უბრალოდ, ბუნებრივად ჰქონდათ როლები განაწილებული. დედა განათლებაზე იყო ორიენტირებული. მამასთან კი, საოცარი სულიერი ურთიერთობა მაკავშირებდა ყოველთვის. მისი დიდი რიდი მაქვს დღემდე. მამა იყო ჩემთვის მაგალითი. ყოველთვის მარიგებდა, მეცხოვრა წესიერად, პატიოსნად, არ ვყოფილიყავი გაბოროტებული, შურიანი და მეკეთებინა სიკეთე. მე და მამა დღესაც ბევრს ვსაუბრობთ სენაკზე, დიდი სითბოთი ვიხსენებთ იქ გატარებული წლებს... ბებია-ბაბუას 8 შვილი – 5 ვაჟი და 3 ქალიშვილი ჰყავდა. აღზარდეს ისეთი შვილები, რომლებიც ყოველთვის ემსახურებოდნენ საქართველოს. დამსახურებელი მშენებლები იყვნენ, ერთი კი – წარმატებული იურისტი. ჩემი ბიძეები ცნობილები არიან თავისი შრომით, პატიოსნებით. ხალხს ისინი ძალიან უყვარს, განსაკუთრებით, სენაკელებს, მითუმეტეს – ერთი ბიძა, დემურ გადელია, დღემდე სენაკში მოღვაწეობს. მეც და ჩემი დაც სკოლაში სენაკში შევედით, მაგრამ სამოქალაქო ომის დროს, თბილისში მოგვიწია წამოსვლა. მეც განსაკუთრებული სიყვარული ჩამრჩა სენაკისა და სენაკელების მიმართ. ამიტომ იყო, რომ ზაფხული და არდადეგები არ არსებობდა, აქ არ ჩამოვსულიყავი. აქ ძალიან დიდი და კარგი სამეგობროც მყავს.

– სამოქალაქო ომის დროს ბავშვი იყავით. გახსოვთ, რა ემოციით დატოვეთ სახლი და საყვარელი სენაკი?

– სენაკიდან წამოსვლა რომ მოგვიწია, 7 წლის ვიყავი. იმ ემოციებს ვერასდროს დავივიწყებ. მაშინდელ ქავთარაძის ქუჩაზე ვცხოვრობდით და გვქონდა ულამაზესი, კაპიტალური სახლი. არასდროს დამავიწყდება, სამოქალაქო ომის პერიოდში, მთელი ქუჩის მაცხოვრებლები გამოიხიზნენ საკუთარი სახლებიდან და ცხოვრობდნენ ჩვენი სახლის პირველ სართულზე. ავტოსადგომივით გვქონდა გაკეთებული და საკმაოდ დიდი სივრცე იყო. პატარა ბავშვები, ყველანი იატაკზე ვიწექით. რადგან შენობა მონოლითური იყო, ჭურვის ჩამოვარდნის შემთხვევაში გადარჩენის დიდი შანსი გვქონდა. საშინელება ტრიალებდა სენაკში. ტყვიების ზუზუნი, ჭურვების ხმა ისმოდა, სახლები ცეცხლის ალში იყო გახვეული, არ იყო პური, საკვები... როცა უკვე ძალიან გართულდა ვითარება, სახლი დავუტოვეთ მეზობლებს და წამოვედით, სენაკიდან აბაშამდე ტყვიების ზუზუნის ფონზე, ურმით და ცხენით გაგვხიზნეს. როგორმე უნდა მიგვეღწია აბაშამდე, რომ ქუთაისამდე მატარებელს და შემდეგ თბილისამდე ავტობუსს გავყოლოდით. ყველა ტიროდა, ყველას ენანებოდა სახლების, ნათესავების დატოვება... ის დღეები და ის ემოცია, ჩემი მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება.

– სწავლა თბილისში გააგრძელეთ. რომელი საგნები მოგწონდათ ყველაზე მეტად და ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაბარება რატომ გადაწყვიტეთ?

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სკოლა „ჰარმონია“ დავამთავრე. ტექნიკური საგნები მაინ-

ტერესებდა. ხშირად ოლიმპიადებშიც ვმონაწილეობდი. როგორც მასწავლებლები ამბობდნენ, მათემატიკური ალღო მქონდა. მათემატიკის სიყვარულმა ჩემზე დიდი გავლენა იქონია, გამიმარტივა ცხოვრება. ყოველთვის მიყვარდა რთული ამოცანები. თოფურიას წიგნში ისინი ვარსკვლავით იყო მონიშნული და სულ ვცდილობდი, ვარსკვლავიანი ამოცანები ამომეხსნა, რამაც სირთულეების გადალახვა მასწავლა.

– სენაკის მერობისთვის ბრძოლა „ვარსკვლავიანი ამოცანაა“?

– სენაკის მერობისთვის ბრძოლა და ზოგადად, მერობა, ჩემთვის უდიდესი გამოწვევა და ძალიან დიდი ინტერესია. ვფიქრობ, ღირსეულად გავართმევ თავს და მაქსიმალურად ვეცდები, რომ ამ ქალაქსა და მუნიციპალიტეტს მოვუტანო რაც შეიძლება მეტი სიკეთე. რაც შეეხება პროფესიას, ჩემზე გავლენა ოჯახმა მოახდინა. ჩემს დიდ ოჯახს ვგულისხმობ, ბიძებს, მამიდებს, დეიდებს... ძალიან შემოქმედებითი ოჯახი მყავს და ყოველთვის ემსახურებოდნენ ისინი საქართველოს და მის კეთილდღეობაში წვლილი შეჰქონდათ. მგონი, გენეტიკურად გადმომყვა ის, რომ მინდა რამე კარგი გავაკეთო და შევქმნა ისეთი რამ, რაც მომავალში დამიფასდება. ჯერ კიდევ სტუდენტმა, ბანკში დავიწყე მუშაობა, რადგან ჩემი სპეციალობა გახლავთ „ფინანსები და საბანკო საქმე“. თავიდან გაყიდვების მენეჯერი ვიყავი. მაგ დროს ახალი – განვადების პროგრამა შეიმუშავეს და პირველი მახარობლები ჩვენ ვიყავით. შემდეგ რამდენჯერმე დამაწინაურეს, თუმცა 2008 წლის ომის გამო, სამსახური, რომელსაც ბანკში ვხელმძღვანელობდი, შეჩერდა და სამსახურიდან წამოვედი. მოგვიანებით, მუშაობა დავიწყე საგზაო-სამშენებლო კომპანია „არქეოპოლისში“. შემდეგ, „მშენებელი 999“-ის დირექტორად დავინიშნე. სწორედ ამ პოზიციაზე ყოფნისას გამიჩნდა იდეა, რომ სამშენებლო სფეროში დამოუკიდებელ მოთამაშედ მეცადა თავი და დავაფუძნეთ სამშენებლო კომპანია „ჯი-ბი-ჯი“, რომლის დირექტორიც ვიყავი. ეს კომპანია დღესაც ოპერირებს ბაზარზე, მე კი პარალელურად ვმუშაობდი შპს „ჰიდროკონსტაქშენში“, რომელიც დაკავებულია რაჭაში „ჭიორაჰესის“ მშენებლობით.

– ჰესების მშენებლობისადმი საზოგადოებას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. ზოგი კატეგორიულადაც კი ეწინააღმდეგება. ჰესების მშენებლობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია?

– ვფიქრობ, საღი აზრი არის ის, რომ ჰესების მშენებლობას უნდა ემხობოდე. პროპაგანდა, რომელიც დღეს რიგ ჰესებთან დაკავშირებით არსებობს, პრორუსული დაკვეთა მგონია. სხვა ქვეყნებთან ერთად, ჩვენ რუსეთიდანაც მოგვეწოდება 500 მგ-იანი ხაზი და რუსეთს არ აწყობს ჩვენი ენერგოდამოუკიდებლობა. ზოგადად, ელექტროენერგიის ტარიფი, სხვადასხვა ქვეყანაში, გვაქვს ძალიან მაღალი, რაც აისახება თითოეულ მაცხოვრებელზე. როცა საკუთარი ენერგია შეგიძლია მიიღო, რატომ უნდა იყო ამის წინააღმდეგი? სადაც არის საშუალება, ჰესი უნდა ავაშენოთ, ოღონდ ისე, რომ გარემოს არ მიადგეს ზიანი.

– კერძო სექტორში წინა ხელისუფლების პირობებშიც იყავით. დღეს ბიზნესგარემო შეცვლილია?

– რა თქმა უნდა... სხვათაშორის, თავის დროზე ჯი-ბი-ჯი-ს დაარსების იდეა სწორედ იმიტომ გამიჩნდა, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ბიზნესგარემო გაუმჯობესდა. აღარ იყო შიში, საქმისმკეთებელი ადამიანები იყვნენ დაცულები. დღემდე ბიზნესი თავისუფალია და ყველა ადამიანს შეუძლია ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, ჰქონდეს თავისი საქმე. და ამისთვის, ბიზნესს, სახელმწიფოსგან ხელშეწყობაც აქვს. ზოგადად, ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ხელისუფლება ყველა გადაწყვეტილებას მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე იღებს, დგამს დაკვირვებულ ნაბიჯებს ნებისმიერი მიმართულებით, გაწონასწორებულია და აქვს შემუშავებული ქვეყნის განვითარების ეფექტური გეგმა, რომელსაც მიზანდასახულად მიყვება.

– ამიტომ ხართ ამ გუნდის წევრი და ზოგადად, პოლიტიკურად როდის გააქტიურდით?

– ჯერ კიდევ 2011 წელს, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე „ქართული ოცნება“ გამოჩნდა, როგორც რიგითი მოქალაქე, მისი მხარდამჭერი გავხდი, მაგრამ პოლიტიკურად არ ვაქტიურობდი. ძალიან მიხაროდა, რომ ცვლილებები დაიწყო, ქვეყანაში ვითარება იცვლებოდა და ადამიანებს ეძლეოდათ შანსი, ეცხოვრათ მშვიდად, მოდიოდნენ მოტივირებული მოქალაქეები, ახალი გეგმებით. ბატონი ბიძინა ივანიშვილის დიდი იმედი ჰქონდა მთელ საქართველოს და ყველა იაზრებდა, რომ ქვეყანა პროგრესისკენ მიდიოდა. „ქართულმა ოცნებამ“ მოქალაქეების იმედები გაამართლა. ვფიქრობ, ქვეყანაში უალტერნატივო, მოწინავე გუნდია, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო. აქ ჯანსაღი აზრია და სწორედ ამ გუნდს შესწევს ძალა, ქვეყანა განავითაროს და ბევრი სასიკეთო საქმეც გააკეთოს.

– თქვენ რას გააკეთებთ სენაკისთვის, მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით რა გეგმები გაქვთ?

– როგორც მოგახსენეთ, სენაკის მერობის კანდიდატობა ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. იმედის გაცრუების უფლება არ მაქვს. ძალიან მოტივირებული, მზად ვარ ვემსახურო ხალხს. აქ არის ძალიან განათლებული, ერუდირებული საზოგადოება, რომელსაც განსაკუთრებული მოფერება, პატივისცემა სჭირდება. ისტორიული ქალაქია სენაკი, აქ არის ძველი არქეოპოლისი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნეში ჯერ კიდევ დედაქალაქი იყო. აქ უამრავი ღირსშესანიშნავი ადგილია, რომელსაც მომავალში გაფრთხილება, კიდევ უფრო მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი სჭირდება. მაქსიმალურად უნდა ვეცადო, ნდობა, რომელიც გამომიცხადეს, თავდაუზოგავი შრომა, რომელსაც ვაპირებ, მომავალში დაეტყოს ქალაქს, მუნიციპალიტეტს, თითოეულ მაცხოვრებელს. ჩემთვის დიდი ტკივილია, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც განათლებას თბილისში იღებენ, უჭირთ დაბრუნება, რადგან აქ არ არის ბევრი სამუშაო ადგილი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მუნიციპალიტეტში დასაქმების საკითხის გადასაჭრელად და იმისთვის, რომ ინფრასტრუქტურაც ისეთი გვქონდეს, სპორტული მოედნები იქნება, დარბაზები, თავშეყრის ადგილები თუ სხვა, რომ ახალგაზრდებს აქ ცხოვრების სურვილი გაუჩნდეთ. მეტად უნდა გალამაზდეს და განვითარდეს ქალაქი, შეიქმნას მცირე საწარმოები, სოფლის მეურნეობა უფრო აღორძინდეს. ტურიზმის განვითარებას მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი, რადგან სწორედ ეს არის სენაკის განვითარების მთავარი პერსპექტივა. არაჩვეულებრივი პროექტი განხორციელდა ჭალადიდის ტერიტორიაზე, სადაც ზიპლაინი გაკეთდა, კეთდება პარკინგი, იცვლება ბორანი. ეს მოქმედი მერის დამსახურებაა და ჩვენი გასაგრძელებელი იქნება. ნოქალაქევის შემდეგ, ეს ადგილი, ტურისტებისთვის ერთ-ერთ საყვარელ ადგილად გადაიქცევა. ასევე გვაქვს ქუჯისციხე, სადაც შეიძლება ვიზიტორები მოვიზიდოთ. გვაქვს ულამაზესი ბუნება, საოცარი ადგილები, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურა უნდა განვავითაროთ. ყველა მიმართულებით ვიაქტიურებ. რაც მთავარია, მე ყოველთვის მექნება ხალხთან ხშირი ურთიერთობა და სწორედ მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, მათთან ერთად დავსახავ სამომავლო გეგმებს.

– მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრების ფაზაში უკვე ხართ და პირველ რიგში რა საკითხის გადაჭრას ითხოვენ ამ ეტაპზე?

– ამ ეტაპზე სოფლებში ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა წყალმომარაგება. სოფელ ნოსირიდან ქალაქ ფოთს მიეწოდება წყალი და ამ დროს, წარმოიდგინეთ, თვითონ ნოსირის მოსახლეობას არ აქვს წყალი. წყალგაყვანილობის სისტემები დასაგეგმი და განსახორციელებელია. გლობალურმა დათბობამაც ძალიან დიდი როლი ითამაშა – ჭებში წყალი შრება. გაზიფიცირების ცენტრალური მაგისტრალი გაყვანილია, მაგრამ პროექტი არ არის დასრულებული. არის სოციალური პრობლემებიც, განსაკუთრებით დევნილებთან. ამ ადამიანებს, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ და მათი პრობლემების გამზიარებელი ვიქნები. ზოგადად, ვპირდები მოსახლეობას, რომ ყველაფერს გავაკეთებ, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები პირველ რიგში გადაიჭრას. მთავარი ის არის, რომ გუნდი ორიენტირებულია საქმის კეთებაზე, მუნიციპალურ განვითარებაზე. ამას მოწმობს სენაკში უკვე განხორციელებული არაერთი პროექტი – მოწესრიგებული გზები, აშენებული მოედნები, სკვერები... ხალხი კმაყოფილია ამ პროცესით, მაგრამ ტემპის დაგდება არ შეიძლება. უფრო მეტი უნდა ვაკეთოთ და მეტი სიკეთე უნდა მოვუტანოთ მუნიციპალიტეტს. მჯერა, ჩემს გუნდსა და ხალხთან ერთად ამას შევძლებ!

– ანუ, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?

– პირველ რიგში, დარწმუნებული ვარ, მოსახლეობა აუცილებლად გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს და ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემს. პირადად მეც, სენაკელების მხარდაჭერის იმედი მაქვს!

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. **2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, სენაკის მუნიციპალიტეტზე**, გამოყოფილია 46 270 928 ლარი, დაფინანსდა 146 979 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (3 886 679 ლარით 225 297 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (10 139 031 ლარით 114 010 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (24 715 344 ლარით 20 404 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (5 864 377 ლარით 5 466 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 781 210 ლარით 2834 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 885 345 ლარით 3 377 შემთხვევა). გაიზარდა **ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, სენაკის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 4937 ბენეფიციარი (178 218 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 2019 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტში, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 78.9% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **სენაკში,** სტაციონარული მკურნალობით 233-მა (778 031 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1416-მა პაციენტმა (202 900 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა **დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი,** წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 3 119 ორსული (168 238 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 557. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **სენაკის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 2 798 პირი, დაიხარჯა 269 517 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, **სენაკის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. სენაკში**,** 2013-2021 წლებში, სულ 526 შემთხვევა 968 707 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **სენაკის მუნიციპალიტეტს 35 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიის რეაბილიტაცია/მოწყობის სამუშაოები ადმინისტრაციული ერთეულებში: უშაფათი, საძირკვლის მოწყობა (11 640 ლ) და შენობის რეაბილიტაცია (47 600 ლ), ფოცხო (22 620 ლ), ეკი, ტერიტორიის შეღობვა (1 600 ლ), ეკი, ზანა, ფოცხო, ნოსირი – ამბულატორიების რეაბილიტაცია (151 383 ლ). ქ. სენაკი, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობა (227 448 ლ), ქ. სენაკი, შპს „სენაკის სამშობიარო სახლის" გათბობის სისტემის მოწყობა/რემონტი (48 989 ლ). **დაგეგმილია:** ახალსოფლის, ზემო ჭალადიდის და ძველი სენაკის, მეორე ნოსირის ამბულატორიების მშენებლობა, მენჯის, ნოქალაქევის, ძველი სენაკისა და ხორშის ამბულატორიების რემონტი. **დევნილები:** ქ. სენაკი, ჭყონდიდელის ქ.№5, იძულებით გადაადგილებულ პირთა კორპუსის გარეჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობა (35 ბინიანი კოლექტიური ცენტრის დათბუნება), 81 559 ლარი. სამხედრო დასახლება, 23 კორპუსის სახურავებისა და იატაკების რეაბილიტაცია – 555 100 ლ.

2013 წელთან შედარებით, **5,6-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 527.1 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 94,0 ათასი ლ). სენაკში 2012 წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება **ჯანდაცვის 4 მუნიციპალური პროგრამა. მათ შორის:** საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება და თანადაფინანსება, მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა და დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). 2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდი ლარიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. **სენაკის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 9993 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, თითქმის 2,3-ჯერ – 11 739 038-დან 27 125 686 ლარამდე გაიზარდა **პენსიების ანაზღაურებაზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 170 559 511 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **სენაკში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 218 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 5,4-ჯერ – 235 664-დან 1 274 599 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 8 467 074 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. სენაკის მუნიციპალიტეტში, სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2263 ოჯახია (01.04,2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 4,2-ჯერ – 1 157 ათასიდან 4826 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 30 079 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 7 563 ათასი, შშმ პირებზე – 2 630 ათასი, ბავშვებზე – 10 730 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **სენაკში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2000 მიზნობრივი ჯგუფი **(01.04.2021 წ. მდგომ.),** 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,2-ჯერ – 642 071-დან 3 365 992 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 22 676 199 ლარი.

სენაკის მუნიციპალიტეტში 6 437 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 2 669 450– დან 3 573 225 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 29 635 307 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **სენაკის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 588 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 319 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 269 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **სენაკში,** დაფინანსებულია 153 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 715 100 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 296 550 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, **მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, **სენაკის მუნიციპალიტეტზე** – 2 088 985 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს -სენაკის მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 929 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 1021. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, სენაკში, 2020 წელს ისარგებლა 283-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 309 ოჯახმა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 466 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 475 პირი.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 555.1 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 490,2 ათასი ლარი).

სენაკში, 2012 წლიდან, სოციალური დაცვის სფეროში განხორციელდა 12 მუნიციპალური პროგრამა. მათ შორის, მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა, სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა, სოციალური ღონისძიების პროგრამა, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ, ᲯᲘᲮᲐᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ, ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 50-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ №5 ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. სენაკში ფუნქციონირებს 27 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 10 – ქალაქში, ხოლო 17 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა სენაკში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 436,8 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 538,4 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 709 ათასი ლარი იყო.

2013-2021 წლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 46 პროექტი განხორციელდა, მათ შორის:

2014-2016 წლებში – ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, რაზეც სულ 497,4 ათასი ლარი დაიხარჯა.

2017 წელს – დასრულდა სენაკის №2, სოფელ გეჯეთისა და ზ/ჭალადიდის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები (333,7 ათასი ლარი). ასევე, განხორციელდა სენაკის №1, №2, №3, №6 ბაგა-ბაღების, ზანის, უშაფათის, ნოსირის, თეკლათის, ახალსოფლის საბავშვო ბაღების რემონტი (ჯამში – 55 ათასი ლარი). დასრულდა ქ. სენაკში, ფოთის ქუჩა №14-ში მდებარე საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები (279,5 ათასი ლარი).

2018 წელს გაიხსნა სენაკის №2 საბავშვო ბაღის ახალი შენობა, საბავშვო ბაღები გადავიდნენ ოთხჯერადი კვების რეჟიმზე.

2019 წელს – სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, ჩატარდა მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები გაერთიანების თითქმის ყველა ბაღში.

2020 წელს – სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღს „ოცნება“; განხორციელდა 23 საბავშვო ბაღის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, რაზეც, რეგიონული განვითარების ფონდიდან 116 ათასი ლარი დაიხარჯა. საბავშვო ბაღების ყველა თანამშრომელს გაეზარდა ხელფასი.

დასრულდა ჯიხას №5 (700 ათასი ლარი) და მშვიდობის ქუჩაზე მდებარე №4(დანიის ლტოლვილთა საბჭო) ბაგა-ბაღების სრული რეაბილიტაცია. გამოცხადებულია ტენდერი ელიავას ქუჩაზე მდებარე მე-3 ბაგა ბაღის მშენებლობისათვის (4 მლნ ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 1158-დან 1281 აღსაზრდელამდე გაიზარდა. 1,05-დან 2,3 ლარამდე გაიზარდა **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** ფუნქციონირებს 27-ვე საბავშვო ბაღში. მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 100 აღმზრდელ-პედაგოგი, 51 აღმზრდელი, საბავშვო ბაღებს 14 ექთანი ემსახურება.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 20 საჯარო სკოლა (ქალაქში – 4, სოფლად – 16), სადაც 4199 მოსწავლე და 496 მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 81 სსსმ მოსწავლე. 7 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 15 მანდატური იცავს. სენაკის საჯარო სკოლებს 5 ექიმი ემსახურება, ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 სკოლაში. სენაკის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, 5 კონსულტანტ-მასწავლებელი მუშაობს.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათ-

ლების სფეროში განათლების და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის: პროგრამაში **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 124 მოსწავლე იყო ჩართული. 2017-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 38 სასკოლო პროექტი/ არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, 2017-2018 წლებში ფინანსურად ხელი 76 სასკოლო აქტივობას შეეწყო. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, **„ახალი სკოლის მოდელით“,** 2019 წელს, ნოქალაქევის საჯარო სკოლას – 14 ლეპტოპი გადაეცა. 2019-2021 წლებში **„ახალი სკოლის“** მოდელი მუნიციპალიტეტის 7 საჯარო სკოლაში დაინერგა. **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით**, 2019 წელს, აფხაზეთის №7 საჯარო სკოლას – 10, სოფელ ნოსირის საჯარო სკოლას – 15 კომპიუტერი გადაეცა. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, სენაკის საჯარო სკოლების 3136 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 22 პროექტი, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 23 პროექტი განხორციელდა, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით** 3 საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2015-2019 წლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 41 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამაში 18 სკოლის (60 მიმართულება) 982 მოსწავლეა ჩართული (2018-2019 ს/წ). 2017-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს, ჯამში, 1176 **სასკოლო ჟურნალი და** 98139 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“, 2013-2019 წლებში,** პირველკლასელებს საჩუქრად 2649 კომპიუტერი გადაეცათ, 160 – კლასის დამრიგებლებს, **„წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების“ პროგრამით** კი – 233 წარჩინებულ მოსწავლეს. იმავე პერიოდში, სენაკში, ჯამში, 262 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით,** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, **2013-2021 წლებში,** სენაკის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების **ნაწილობრივი რეაბილიტაციის** 37 პროექტი განხორციელდა; ადაპტირებულია 16 სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია – 10. მათ შორის: **2013 წელს** განხორციელდა 5 სკოლის რეაბილიტაცია (სულ 348 ათასი ლარი); **2014 წელს –** 9 სკოლის რეაბილიტაცია (სულ 829,5 ათასი ლარი); **2015 წელს –** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 სკოლას (737,9 ათასი ლარი); **2016 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 სკოლას (სულ 9,9 ათასი ლარი). 2017 წელს **დასრულდა:** თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (108,6 ათასი ლარი). **დაფინანსდა:** ჟიული შარტავას სახელობის ქ. სენაკის №2 (5 ათასი ლარი) და სენაკის №3 (9,5 ათასი ლარი) საჯარო სკოლების გათბობის სისტემის რეაბილიტაცია; მენჯის საჯარო სკოლაში ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები (51,7 თასი ლარი); 2018 წელს განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ნოქალაქევის, ნოსირის, ზანის, კოტიანეთის საჯარო სკოლებში. **2019 წელს** სენაკის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაციის 10 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 377,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს** – საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 13 პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 521,4 ათასი ლარით დაფინანსდა.

პროფესიული განათლება

2013 წლიდან ფუნქციონირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალი, რომელსაც 270-მდე სტუდენტის მიღება შეუძლია. 2020-2021 სასწავლო წლისთვის კოლეჯში (ზუგდიდის და სენაკის ფილიალებში) 49 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება, მათ შორის 45 – მოდულური და 4 დუალური.

2013-2020 წლებში სენაკის ფილიალში სულ 413 სტუდენტი ჩაირიცხა (მათგან 2 – სსსმ პირი), იმავე პერიოდში, კურსდამთავრებულთა რაოდენობამ 105 შეადგინა. პროფესიული უნარების განვითარების მიზნით სენაკში განხორციელდა 19 პროექტი. 2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. 2020 წლის მიღების ფარგლებში, ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებზე 32 პირი ჩაირიცხა.

2013-2020 წლებში მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში კოლეჯმა სახელმწიფოსგან, საერთო ჯამში, 7 მლნ 207,5 ათასი ლარი მიიღო.

2021 წლის მდგომარეობით, სენაკის მუნიციპალიტეტში, ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების 3 პროგრამა ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში. 2020 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების კურსი 8 პირმა დაამთავრა.

უმაღლესი განათლება

ქ. სენაკში ფუნქციონირებს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფილიალი, რომელიც **უმაღლეს** საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად **პროფესიულ** საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლებას იღებს 536 სტუდენტი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - 475. უწყვეტი განათლების პრინციპით მომზადება/გადამზადების კურსები გაიარა 6000-ზე მეტმა ბენეფიციარმა. სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ახალი მოდელი - დუალური განათლება (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება). **2013-2020 წლებში,** უნივერსიტეტში სულ 37 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდა (მათ შორის, საგნობრივი/ მოდულური/დუალური). დუალური პროგრამებიდან აღსანიშნავია მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) მიმართულება.

2020 წლის მდგომარეობით, უნივერსიტეტში 13 ავტორიზებული პროგრამა ხორციელდება. 2013-2019 წლებში, **სოციალური პროგრამით**, 146 სტუდენტი დაფინანსდა, მათ შორის, 2015-2020 წლებში, ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზთან ახლოს მდებარე დასახლებებიდან – 50 სტუდენტი.

შრომის ბაზრის მოთხოვნის საფუძველზე, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტად რჩება აგრარული მიმართულება, რის გამოც უპირატესად დაინერგება და მომზადდება აგრარული მიმართულების ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური (დუალური) პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც პროფესიული განათლების საფეხურზე მოპოვებული კრედიტების უმაღლესი განათლების მიზნებისთვის აღიარებას გახდის შესაძლებელს.

2013-2020 წლებში, სახელმწიფოს მხრიდან საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 8 მლნ 372 ათასი ლარი შეადგინა.

2017-2020 წლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 20 პროექტი განხორციელდა. **2017-2019 წლებში,** უნივერსიტეტში პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე 96 მსჯავრდებული/ყოფილი პატიმარი იყო ჩარიცხული. **2017-2020 წლებში,** სასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან პროგრამაზე 73 პირი ჩაირიცხა. **2020 წელს** მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო 300-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 13 სტუდენტი ჩაირიცხა. უნივერსიტეტი ახორციელებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი ხელშეწყობის საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტებს. **2013-2020 წლებში,** სოციალური პროგრამით ჩარიცხულია (დაფინანსებულია) 159 სტუდენტი.

უნივერსიტეტში დაინერგა სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექნიზმები, შემუშავდა „უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისა და რეგიონებისათვის". საერთაშორისო პროექტის – DARE-ის ფარგლებში, სტუდენტური მომსახურების სერვისების ლაბორატორია აუდიო და ვიდეოლექციებით აღიჭურვა, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სპეციალური სასწავლო პროგრამები, გრაფიკები, ელექტრონული ლექციები შემუშავდა, დაინერგა ელექტრონული სწავლების მეთოდი (შერეული).

2015-2020 წლებში უნივერსიტეტში აღჭურვა-რეაბილიტაციის 27 პროექტი განხორციელდა, რაზეც, ჯამში, 4 მლნ 935,6 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2020 წელს დასრულდა უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა (1 მლნ 749,8 ათასი ლარი). **2017-2019 წლებში,** უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე სულ 2 მლნ 387,8 ათასი ლარი დაიხარჯა.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, გადამზადდება 100 აღმზრდელ-მასწავლებელი;
- გაუმჯობესდება სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელება, დამატებით შეიქმნება სასკოლო მზაობის 5 დამოუკიდებელი ჯგუფი;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2021-2025 წლებში, რეგიონული განვითარების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებით, დაგეგმილია 5 ბაგა-ბაღის მშენებლობა, 14 ბაღის რეაბილიტაცია. დაგეგმილია: ქ. სენაკის №1 ბაგა-ბაღის რებილიტაცია – 250 ათასი ლარი; №3 ბაგა-ბაღის მშენებლობა – 700 ათასი ლარი; ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა – 400 ათასი ლარი; ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში (ზემო ფოცხო) საბავშვო ბაღის მშენებლობა – 400 ათასი ლარი; **ქ. სენაკის** – მე-2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია – 200 ათასი ლარი; მე-6 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია – 200 ათასი ლარი; ზანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 19,5 ათასი ლარი (სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება);
- დაგეგმილია: სოფელ დიდი ჭყონიში 100 აღსაზრდელზე გათვლილი ბაღის მშენებლობა – 1 მლნ 700 ათასი ლარი; ქ. სენაკში, მ. ღვინჯილიას ქუჩაზე, 100 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა – 1 მლნ 700 ათასი ლარი;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება სენაკში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: 2022-2025 წლებში დაგეგმილია საჯარო სკოლების რეაბილიტაციის მსხვილი პროექტები, რაზეც, რეგიონული განვითარების ფონდიდან, ჯამში, 440,3 ათასი ლარი დაიხარჯება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება: ძვ .სენაკის, ნოქალაქევის, გეჯეთის, ქ. სენაკის №2 და №3 საჯარო სკოლებს;
- გაგრძელდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განყოფილებისა და სენაკის ფილიალის (საერთო საცხოვრებელი) მშენებლობა/რეაბილიტაცია (პროექტი დაიწყო 2016 წელს, შესრულებულია სამუშაოთა 40 %-მდე);
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

კულტურა

სენაკის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:

ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, სასოფლო ბიბლიოთეკები (ნოსირის, ეკის, ნოქალაქევის, ძველი სენაკის, ლეძაძამის, ხორშის, მენჯის, უშაფათის, ლეძაძამეს, თეკლათის, ზანის, ფოცხოს, მეორე ნოსირის, გეჯეთის, ზემო ჭალადიდისა და ახალსოფლის), ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი (სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, ხელოვნების საზაფხულო სკოლა, 2019 წლიდან გაიხსნა ბავშვთა საბალეტო ჯგუფი); მუნიციპალიტეტში, აგრეთვე, ფუნქციონირებს სსიპ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, საესტრადო ანსამბლი „მუსიკელი“, ანსამბლი „კოლხური ტრიო“, ფოლკლორული ანსამბლი „ეგრისი“.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 817,1 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 555 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართება ფესტივალები, კონკურსები, ეწყობა გამოფენები, კონცერტები, ხორციელდება პროექტები: „ვიცნობდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას“, „ღამე მუზეუმში“, „ეგრისობა“ და სხვ. ტარდება ღვაწლმოსილი ადამიანებისა და მნიშვნელოვანი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მათ შორის, 2019 წელს, მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში გაიმართა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 73-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა – „არავინ და არაფერია დავიწყებული”, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისადმი მიძღვნილი საღამო; საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას დაღუპვისა და სოხუმის დაცემის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული, ფოტოგამოფენა – „სენაკელები აფხაზეთის ომში“ და სხვ.

2020 წელს ქალაქ სენაკში ჩატარდა რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, 2021 წლიდან კი, სენაკი ფესტივალის მუდმივი მასპინძელი ქალაქი იქნება.

2014 წლიდან დღემდე, სენაკის მუნიციპალიტეტში, ყოველწლიურად ტარდება ეგრისობის სახალხო დღესასწაული, რომლის მიზანია ქართული ფოლკლორის, ქორეოგრაფიის, რეწვისა და გასტრონომიული კულტურის, რეგიონისთვის დამახასიათებელი კულტურულ-ისტორიული ყოფის ელემენტების წარმოჩენა/პოპულარიზაცია.

2014 წლიდან დღემდე, ქალაქი სენაკი, ყოველწლიურად მასპინძლობს სენაკის არტფესტივალს, რომელშიც მონაწილეობენ როგორც კლასიკური, ასევე ფოლკლორული და საესტრადო მუსიკის ცნობილი შემსრულებლები. ფესტივალი ტარდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის პატრონაჟითა და ცნობილი პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით. ფესტივალის ფარგლებში, ტარდება კონკურსი დასავლეთ საქართველოს სახელოვნებო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით.

აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია

2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:

2014-2016 წლებში განხორციელდა: მეორე ნოსირში კულტურის სახლის შეკეთება; გეჯეთში კულტურის სახლის რემონტი; მეორე ნოსირში ბიბლიოთეკის ოთახის რემონტი; ნოქალაქევი-ჯიხაში ბიბლიოთეკის ეზოს შეღობვა; მეორე ნოსირში კულტურის სახლის ოთახების რემონტი; უშაფათის ბიბლიოთეკის წინა ფასადის რემონტი; ფოცხოს ბიბლიოთეკის შენობის ფასადის რემონტი; ზანას ბიბლიოთეკის ერთი ოთახის რემონტი; ბათარიას საბავშვო ბაღისა და ბიბლიოთეკის ეზოს შეღობვა; ნოქალაქევი-ჯიხას ბიბლიოთეკის სახურავის რეაბილიტაცია; ნოსირის ბიბლიოთეკისა და საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, რაზეც სულ 67,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

2017 წელს განხორციელდა სენაკის სამხატვრო გალერეის შენობის რეაბილიტაცია (104,7 ათასი ლარი); დასრულდა პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების I ეტაპი – 1 მლნ 190 ათასი ლარი.

2018 წელს დასრულდა პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი – 1 მლნ 600 ათასი ლარი.

2018-2019 წლებში ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციაზე, საერთო ჯამში, 2 მლნ 790 ათასი ლარი დაიხარჯა. **ნოქალაქევის რეაბილიტაციის კომპლექსურ სამუშაოებს სრულად აფინანსებს საქართველოს მთავრობა, რისთვისაც, სახელმწიფო ბიუჯეტი, საერთო ჯამში, 14 მილიონ ლარს გაიღებს.**

ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა სველი წერტილებისა და წყლის მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და იატაკის ნაწილის გამაგრებითი სამუშაოები (11,4 ათასი ლარი).

2016-2020 წლებში – ქ. სენაკში, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეაბილიტაციის პროექტი მიმდინარეობდა – ჩატარდა შენობის სრული აღდგენითი სამუშაოები. პროექტის ფარგლებში გამოიცვალა სახურავი, ჩატარდა ფუნდამენტისა და თეატრის ყველა სართულის კედლის კონსტრუქციული გამაგრებითი სამუშაოები. სრულად განახლდა შენობის გარეფასადი და მოხდა შიდაინტერიერის სრული რეაბილიტაცია. რესტავრირება ჩაუტარდა და აღდგა დიდი დარბაზის, ასევე შესასვლელი ფოიეების კედლის უნიკალური მხატვრობა, განახლდა თეატრის მოზაიკური იატაკი, აივნები, მოაჯირები. სრულად განახლდა სასცენო ინვენტარი, ტექნიკური მოწყობილობები, გახმოვანებისა და განათების აპარატურა და სხვ. **პროექტი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა, რომლის ღირებულება 10 მილიონ ლარამდეა.**

2019 წელს განხორციელდა, პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების II ეტაპი და მოეწყო ახალი მუზეუმის შენობის ფილები, რასაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 2 მლნ 575 ათასი ლარი მოხმარდა.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სენაკის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი – **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხა და შესწავლა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 19,7 თასი ლარი).

სენაკის მუნიციპალიტეტს ფარავს კულტურული მარშრუტები – **„ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ” და „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში”,** რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

კულტურის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, განხორციელდა არაერთი პროექტი. მათ შორის:

ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის მართვის ინსტრუმენტების შემუშავება, მათ შორის ტრენინგები კონსერვაციისა და ყოველდღიური მოვლა-პატრონობის მიმართულებებით, ნოქალაქევის კომპლექსში შემავალი სამეფო აბანოს ნანგრევების საკონსერვაციო პროექტის მომზადება (19 ათასი ლარი); ორმოცმოწამეთას ტაძრის არქეოლოგია (10 ათასი ლარი); მუზეუმ-ნაკრძალებსა და მუზეუმებში დაცული კოლექციების შეწამვლა-დამუშავება (სულ – 2,8 ათასი ლარი); აკ. ხორავას სახელობის დრამატული თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი (169 ათასი ლარი); თეატრის ხელშეწყობა სადადგმო-საგასტროლო ხარჯით (22 ათასი ლარი); ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგია (114,3 ათასი ლარი); საბავშვო არქეოლოგია (34, 5 ათასი ლარი, მუნიციპალური ხარჯი – 2,1 ათასი ლარი, 2017 წელი).

2018 წელი – პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირებისა და ახალი ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; კვაუთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის სამღვდლო-სადიაკვნო და აღსავლის 3 კარის შესაცვლელად საზეინკლო მომსახურება; ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგია; ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2019 წელი – ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგია; პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ახალი მუზეუმის შენობის ფილის მოწყობა (II და III ეტაპი).

2020 წელი – ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგია; პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის რეაბილიტაცია და ახალი მუზეუმის მშენებლობა.

სპორტი

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებუ-

ლი ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი“ და ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“ (სპორტის სასახლე და სასპორტო სკოლა).

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 744,4 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 342 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კრივი, კარატე, რაგბი, ჭადრაკი, კალათბურთი, ძიუდო, ტაეკვონდო, მაგიდის ჩოგბურთი, ხელბურთი, ფუსტალი და ლელო.

აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები: 2014 წელი – საქართველოს 5 ჩემპიონი, რესპუბლიკური ტურნირების 34 ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების 11 ჩემპიონი; **2015 წელი** – საქართველოს 11 ჩემპიონი, რესპუბლიკური ტურნირების 30 ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების 9 ჩემპიონი; **2016 წელი** – საქართველოს 8 ჩემპიონი, რესპუბლიკური ტურნირების 37 ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების 10 ჩემპიონი, ევროპის 1 ჩემპიონი; **2017 წელი** – საქართველოს 2 ჩემპიონი, საქართველოს პირველობის 8 პრიზიორი, რესპუბლიკური ტურნირების 25 ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების 20 ჩემპიონი. **2018 წელი** – ახალგაზრდაული ოლიმპიადის ჩემპიონი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში გიორგი ჩხიკვაძე, ევროპის პრიზიორი მე-2 ადგილოსანი – 1, საქართველოს ჩემპიონი 1, მეორე ადგილოსანი 2, მესამე ადგილოსანი – 7, საერთაშორისო ტურნირის სხვადასხვა სახეობებში პირველი ადგილი-16, მეორე ადგილი-17, მესამე ადგილი-13. **2018-20119** წლებში ვეტერან კარატისტთა ტურნირის 2 გამარჯვებული – გია ლატარია, ელგუჯა ჩემია.

2018 წელს მე-3 საერთაშორისო ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე ბუენოს-აირესში სენაკელი მოჭიდავე გახდა პირველი ქართველი ოქროს მედალოსანი. ასევე, კრივში ევროპის მოსწავლეთა ჩემპიონატზე სენაკელი მოკრივე გავიდა მე-2 ადგილზე. იმავე წელს სენაკელი სპორტსმენები გახდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები, წარმატებული გამოსვლები ჰქონდათ ვეტერან სენაკელ სპორტსმენებსაც (კარატე-დო, ძიუდო) **2019 წელი** – საქართველოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საჩინო დავითაია, კრივში საქრთველოს ჩემპიონი გიორგი კუპრეიშვილი ახალგაზრდებს შორის, საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი ლუკა წულეისკირი; პოლონეთის საერთაშორისო ტურნირში ტაეკვანდოში გამარჯვებულია ირაკლი ჯანაშია, მე-2 ადგილი – იკობ უბილავა, გიორგი ცაავა და მე-3 ადგილოსნები – ლუკა ნინუა, თემო შამათავა; ასევე სხვადასხვა სახეობებში საქართველოს ჩემპიონატის 5 მეორე ადგილოსანი და 11 მესამე ადგილოსანი; **2018-2019 წლებში,** ვიცე-ჩემპიონი და **2020 წლის** საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში ვეტერანთა შორის ელუჯა გვასალია.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: ლეძაძამე, სტადიონის შეღობვა (2,5 ათასი ლარი); გეჯეთი, სტადიონის შეღობვა (5,9 ათასი ლარი); ლებაღათურიე, სპორტული მოედნის შეღობვა (4,7 ათასი ლარი); ზანა, სტადიონის ჭიშკრისა და ღობის რემონტი (0.7 ათასი ლარი); ფოცხო-ნასაჯუ, ბუნებრივსაფარიანი მინიმოედნის მოწყობა (9,9 ათასი ლარი); ზანა, ფრენბურთის მოედნის რეაბილიტაცია (0,4 ათასი ლარი); ზანა, მინიმოედნის ელექტროგანათების მოწყობა (0,8 ათასი ლარი); საცხვიტაო, მინიმოედნის მოწყობის I ეტაპი (4,5 ათასი ლარი); სენაკი, რუსთაველის ქუჩაზე, ჟ. შარტავას პარკში მდებარე ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნის რეაბილიტაცია (36 ათასი ლარი); ზანა, სპორტული მოედნის შეღობვა (5,9 თასი ლარი); ლეძაძამე, სპორტული ინვენტარის შეძენა (1,5 ათასი ლარი); ძველი სენაკი, ცენტრალური სტადიონის შეღობვა (6,4 ათასი ლარი); დიდი ხორში, სტადიონის შეღობვა (17,7 ათასი ლარი); ზანა, ფრენბურთის მოედნის მოწყობა (1,2 თასი ლარი); შუა ნოსირი და ნოსირი, მინიმოედნების რეაბილიტაცია (9,3 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში); საცხვიტაო, მინიმოედნის მოწყობის II ეტაპი (8,44 ათასი ლარი).

2017 წელს მინი სპორტული მოედანი მოეწყო ქ. სენაკში, ჟ. შარტავას ქუჩაზე, პროექტის ღირებულება 80 ათასი ლარი.

2019 წელს – სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის 4 ხელოვნურსაფარიან მოედანს. რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, განხორციელდა: ქალაქ სენაკში, ჭყონდიდელის ქუჩაზე და მექანიკურის დასახლებაში სპორტული მინიმოედნების რეაბილიტაცია – 113,5 ათასი ლარი; ქ. სენაკში რუსთაველის (ჟიული შარტავას სახელობის პარკი) ქუჩაზე არსებული მინიმოედნის რეაბილიტაცია (რეგიონული განვითარების ფონდი), სენაკის მე-7 საჯარო სკოლის ეზოში არსებული მინიმოედნის რეაბილიტაცია – 211 ათასი ლარი; ცენტრალური სტადიონის სარემონტო სამუშაოები – 153,9 ათასი ლარი (რეგიონული განვითარების ფონდი); სენაკის სასპორტო სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მოეწყო გათბობის სისტემა (71, 8 ათასი ლარი).

2020 წელს – აშენდა 2 ღია საკალათბურთო მოედანი, იმავე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 მინიმოედანს, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასპორტო სკოლას, მოეწყო საშხაპეები, გასახდელები, მიმდინარეობს საჭიდაო დარბაზის იატაკის მოწესრიგება. საფეხბურთო სტადიონზე მოეწყო გასახდელები, საშხაპეები, დამონტაჟდა სკამები 2000 მაყურებელზე.

2021 წელს – ქ. სენაკში, ჭავჭავაძის №35 კორპუსის მიმდებარედ და რუსთაველის №126 კორპუსის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნების რეაბილოტაციაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 65,9 ათასი ლარი დაიხარჯა, აღმაშენებლის ქუჩაზე (საკირესთან) და შხეფში სტალინის ქუჩის მიმდებარედ (სახოკიას ქუჩის დასაწყისი) არსებული მინიმოედნების რეაბილიტაციაზე კი – 81,6 ათასი ლარი.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდაჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. მათ შორის: ქუჩის ერთი სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა – 14,3 ათასი ლარი, სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი – 4,8 ათასი ლარი და სხვ.

სამინისტროს მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე – **„სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“.**

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); ინტეგრირებული ბოჩას ტურნირები (პროექტში მონაწილეობა მიიღო 350-მდე ახალგაზრდამ); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2021 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ახალგაზრდობის სააგენტოსა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება ახალგაზრდული პოლიტიკის 3-წლიანი დოკუმენტი და გაიწერება შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებები.

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით სენაკის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2021 წლიდან გაგრძელდება პროგრამა – „საგანმანათლებლო-შემეცნებითი ექსკურსიები მუზეუმში“, რომელშიც სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას;
- **2022-2024 წლებში** დაგეგმილია პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის მუზეუმის მშენებლობა;
- 2022 წლიდან სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრში მხატვრული ქარგვის ჯგუფის გახსნა იგეგმება;
- 2022 წელს დასრულდება ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაცია და კონსერვაცია (16 მლნ ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- **2021-2025 წლებში,** რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით დაგეგმილია: ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია – 960 ათასი ლარი;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- იგეგმება შშმ პირთა საფეხბურთო ჯგუფის შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მშობლიური ქალაქის მერობის კანდიდატი ვიყო.

სენაკში დავიბადე, ქართული კულტურისა და ტრადიციების ქალაქში, სადაც ყველა დროში ღირსეული, პატრიოტი, ერთგული და შორსმჭვრეტელი ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს, ამიტომაც, ყველაფერი, რაც მშობლიურ სენაკს უკავშირდება, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანია. თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩემს გუნდთან ერთად, შესაძლებლობა მექნება, საკუთარი წვლილი შევიტანო ჩვენი მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისა და აღმშენებლობის საქმეში, რაც, საბოლოოდ, თითოეული სენაკელის კეთილდღეობაზე აისახება.

დღეს სენაკში, ქალაქად თუ სოფლად, განახლების აქტიური პროცესი მიმდინარეობს. სხვადასხვა მიმართულებით უკვე არაერთი მასშტაბური, ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი განხორციელდა, თუმცა სენაკის მუნიციპალიტეტის წინსვლა მეტად უნდა დავაჩქაროთ! ვაცნობიერებ, რომ აღმშენებლობის პარალელურად, კვლავაც რჩება გამოწვევები და მოსახლეობა არაერთი მწვავე პრობლემის წინაშე დგას. მე და ჩემს გუნდს გვაქვს კონკრეტული და რეალისტური ხედვა, რომელიც თითოეული მოქალაქის საჭიროებებზეა გათვლილი და გულისხმობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სასოფლო-სამეურნეო, ტურისტული პოტენციალის რეალიზებას, ხარისხიანი განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდას, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფასა და შესაძლებლობის ფარგლებში, სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნას.

ამ ხედვის რეალიზებისთვის, დღეს, როგორც არასდროს, ერთმანეთის მხარდაჭერა გვჭირდება. განვითარების დიდი რესურსი და პოტენციალი გვაქვს და მსურს, ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმშენებლობაში თითოეულმა სენაკელმა უშუალო მონაწილეობა მიიღოს.

ერთად ყველა დაბრკოლებას დავძლევთ, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.